

ბულინგის შესახებ ცნობიერების ამაღლება საბაზო და საშუალო კლასების
მოსწავლეებში თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში

გიორგი კეკელიძე, თორნიკე ჭელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

გიორგი კეკელიძე

თორნიკე ჭელიძე

26.06.2017წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მიერ შესრულებულ პრაქტიკის კვლევას, რომელიც თვისებრივი მეთოდების გამოყენებით განხორციელდა და მიზნად ისახავდა ანტიბულინგური გარემოს გაუმჯობესებას თბილისის ერთ-ერთი სკოლის მაგალითზე, ბულინგთან დაკავშირებით მოსწავლეთა ცნობიერების დონის გაუმჯობესების გზით.

ბულინგი წარმოადგენს ურთულეს პრობლემას არამხოლოდ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ მთელ მსოფლიოში.

საქართველოში პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას, რამდენადაც სკოლებში არ არსებობს კარგად განვითარებული ბავშვთა უფლებების დაცვის სისტემა. არ არსებობს ბულინგის იდენტიფიცირებისა და შეტყობინების მექანიზმები. შესაბამისად, არ არსებობს ბულინგზე რეაგირებისა და პრევენციის სისტემები.

კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციის საშუალებით, რომელიც ერთ-ერთი კლასის მაგალითზე გაკეთდა, შესაძლებელი გახდა გაზრდილიყო მოსწავლეთა ცნობიერების დონე და გაუმჯობესებულიყო მათი ინფორმაციული ბაზისი.

საკითხისა და მისი კვლევის მეთოდების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აღნიშნული კვლევის განზოგადება შესაძლებელია მხოლოდ ლოკალური კონტექსტის გათვალისწინებით, გამოყენებული მეთოდების მცირედი ცვლილებების დაშვებით.

საძიებო სიტყვები: სკოლა, ბულინგი, ჩაგვრა, უსაფრთხო გარემო

Abstract

The under-mentioned study represents an action research conducted by the master degree students of faculty of Art and Science of Ilia State University (MA program of Education Administration), which was implemented through using qualitative methods, aiming to improve anti-bullying environment by increasing awareness of school students towards bullying.

Bullying is rather complicated problem characterizing not only Georgian, but generally educational system all around the world.

The problem is much complicated for Georgian reality as there is no child protection system well-developed throughout the schools. There no mechanisms set for identification and reporting bullying cases, so there is no common system to prevent or react on bullying, correspondingly.

The research made us able to improve awareness and informational basis of school students towards bullying on the example of one specific class in Tbilisi public school.

Due to the specific topic and the approaches used, the results of the research can be generalized only foreseeing the local context and slight changes in the methods used.

Key words: school, bullying, oppress, safe environment